პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

# ტარტაროზი

წელიწადი მესამე

ფასი ორი შაური

№ 31 | კვირა, 10 იანვარი, 1926 წელი. | № 31

## შეიარაღებით განიარაღება

„ჟენევაში განიარაღების შესახებ კონფერენციაზე ამერიკა გზავნის თავის წარმომადგენლებს“.

(დეპეშებიდან)

ამერიკა თავისი სამხედრო ძლიერებით ევროპაზე ძლიერია.

(სინამდვილედან)



...მდენი ხანია განიარაღებაზე ლაყბობთ, და ჯერ კიდევ ვერ განიარაღდით. ჩემი ზარბაზნებ...
სულ ადვილად მოვაგვარებ ამ საკითხს.

# „გულკეთილი ხალხი“

„გერმანიის ყოფილ მეფეს ვილჰელმ გოგენცოლერნს 40 მილიონი მარკა მისცეს“.

გაზეთებ დან.

გვირგვინოსანთა საქმეები
თქვენ ფიქრობთ—ნიახურია?
გთხოვთ, ცოტა ხანით მოგვაპყრა
თქვენი მახვილი ყური და
და გეტყვისთ ესე ანდაზა
ავტორმა რათ გაურია:

— ოგეხსენ ბათ, დღეს გერმანიას
„გულით კეთილი“ ხალხი განაგებს:
—მათ შეუძლიათ—რაც უნდათ, ის ქნან,
ხალხთან არც ერთი პასუხს არ აგებს!

იყო და.. მართლაც დიდი რამ იყო!
— ვილჰელმ მეორე, ჰოჰენცოლერნი!
კვლავ ფერხთა მისთა ქვეშ განრთხმოდე
სამეფო ტახტის ორგულნი, მტერნი!

იყო მხატვარი, იყო პოეტი,
იყო არტისტიც სათადარიგო,
მაგრამ ყველაზე უფრო ცუდია,
რომ ეს შეშლილი... მეფეთაც იყო!

მის შეშლილობას გადაჰყვა ხალხი
არა ასობით, მილიონობით
და ამიტომაც მზეს გვირგვინოსანს
არ შეხვედრიან გულწრფელი გრძნობით.

თუ არ მუშები—უმზგავსო ორფეხს
ვინ გაბედავდა და ხელს ვინ კრავდა?
სწორედ ამიტომ მეფე ვილჰელმი
ტახტიდან ძირაც გადაყირავდა!

მოსხეს ამ ტირანს ლაზათიანად,
მართლაც ამოვრეს პანღური კარგა,
მაგრამ.. სჯობდა, რომ მხეცს—ტახტთა ერთად
თავიც თავისი მთლად დაეკარგა.

დაკარგა ტახტი თავი კი არა.
შემოხს ეს ტანზე მეფის ბანტია,
მაგრამ ბინა კი მაინც მონახა:
— მასპინძლათა ყავს მას გოლანდია.

ცხოვრობს ყოფილი მეფე ვილჰელმი,
მაგრამ ამგვარი რა იყო ყოფა?
— განა უბრალო ადამიანის
შემოსავალი მეფეს ეყოფა?

სწორედ ამიტომ და ამის გამო
გული მთავრობის აწ ეგზომ მოლბა,
რომ „მშიერ“ ვილჰელმს ორმოცმილიონს.
ჯილდოთ უგზავნის დღეს ეს მთავრობა.

რა ვუყოთ მერე—თუ დამშეულებს
პური არა აქვს დღეს ერთი ხემსი?
— გამლომამ ფის! სხვა რაღა გნებავთ
მადლი ამაზე აქ უკეთესი!

და იმ დროს, როცა ეხეცს გვირგვინოსანს
მილიონობით უძღვნიან ჯილდოს,
— ზურგი დამშეულ მუშის და გლეხის
მოედანია დღეს საჯირითო!

მერე ვინ შვება ამ „წმინდა“ საქმეს?
გგონიათ:—მარტო ჰინდენბურგები?
არც გერმანელი მენშევიკები
გახლავთ ყოფილი მეფის ურგები!

მათაც ხელი აქვთ აქ მოწერილი
—ამ შემთხვევაში [illegible] ით
მუშებს ამშევენ, მეფეს აძლევენ
თვით მენშევიკთა ურცხვი დასტურით!

დღეს მეფისათვის ეს გარეწრები
მილიონებსაც ვალათ არ სთვლიან!
—მაგრამ ჩვენ ვფიქრობთ—„ღვაწლს“ ამ ხალხი-ას
თითონ მუშები თითზე ითვლიან“!

ალბათ დადგება ისეთი ჟამი,
რომ ხალხის სისხლით ცხ ველებ! ნასუქს,—
თვითონ მუშები დღეს ანუ ხვალე
მართლაც საკადრისს მოსთხოვენ პასუხს.

და თუ დღეს ტახტზე, ან უტახტოთაც
ხმაშეწყობილი ღრენენ მურები:
—დღე ხვალინდელი მათ ემუქრება
სრული მოსპობა-განადგურებით!

— ია.

---

# „წითელი თეატრი და პატარა ცხენები“

რუსთაველის პროსპექტზე პოლიტეხნიკუმის შენობაში ზევით მოთავსებულია წითელი მცირე თეატრი, ქვევით კი სათამაშო „პტი შვო“, რომელსაც უმთავრესად უბრალო ახალგაზრდები ეტანებიან. თამაშობა შეუძლია ყველას.

(სინამდვილე)

არავისზე იყო
იგი ქვეყნად მწყრალი,
თუმცა კურიერი
იყო ის ბედმწყრალი.
საქმე ჰქონდა მცირე,
სავალი კი დიდი;
სხვა გზა რომ არ სჩანდა,
აბა, ნუ ივლიდი...
სოლოლაკი,—ვერა,
ვერა—ავლაბარი...
შემოვლილი ჰქონდა
ქალაქის მთა-ბარი.
როგორც რაში ჰქროდა
მომთმენი და წყნარი,
არაფრად უჩანდა
თოვლი, ქარი, წყალი...

—:—

დადიოდა, არ თვლიდა
ვერსებს ვერსზე ნაკეთებს...
სადაც ჯერ არს, ვისაც ჯერს
აბარებდა პაკეტებს.
პაკეტებით—მიმართვებს,
მიმართვებით—ცნობებს,
ცნობებით—ნაცოდვილებს,
რბილს, მაგარს,
და სხვა ამგვარს...

—:—

დილიდან საღამომდისინ
დადის შიკრიკი ბერია;
დღით—სიარულს, და ღამით—
ლოპიოს გაბერია...
წვეცფეხსაცმელებს უდროოდ

გამოხევია ძირია,
მისი მყიდველი „ხოზები“
მტკვრის ძირზე დასაძირია...
სპეცტანისამოსს ბეჭებზე
არა აქვს ქვეყნად ფასია,
ბრეზენტია თუ რიყის ქვა
ვერ გაცვეთს წელი ასია...
დილიდან საღამომდისინ
დადის შიკრიკი ბერია,
დღით—სიარულს, და ღამით—
ლობიოს გაუბერია...

—

როდესაც ძილო
ერთხელ ჯამაგირი,
და დასტოვა სახლში
ჩანთა-უნაგირი,
თქვა, მო, წითელ თეატრს,
ერთხელ მაინც ვნახავ,
გართობასთან ერთად
შევიძენ რამ ახალს...
თანაც წითელია,
მაშ—მუშურ-გლეხური,
ყოველ მუშამ უნდა
ათხოვოს მას ყური!..
დე, გავარდეს ჯანი
ამ ათმაურიანს,
მნახავს—გულს მოუკლავ
ბურჟუას შურიანს,
ფული შენახული
გაგიხდება კრულად!..
და რუსთაველისკენ
გასცხო შიკრიკულათ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „გრძელი ნაბიჯი“

ზაკტპოს ცენტ. გამგეობის რწმუნებულს ფცქიალანეს ბევრი ბოროტება ჩაუდენია მისი რწმუნებულობის დროს.

**სარევიზიო კომ. ის. ანგარიში.**



**რომ უბანი მეტად შორი**
**უფრო ხშირად ვინახულო,—**
**უფლება მაქ თანასწორი**
**ავაშენო ლავკა—ხულო.**

**ვინ იცის თუ შავი დღისთვის**
**რას იზამენ ჩემი მტრები.**
**და ამიტომ სწორედ მისთვის**
**ესდენ ოფლში ვიწურები.**

და მიქრის ბერია
ნაოფლარი ფულით.
წინდაწინვე უფეთქს
სიხარულით გული...
სტირის ცაზე მთვარე
გულსაკლავად ასე:
— სად მიხვალ, ბერიავ,
ცოლის ცოდვით სავსე?!.
და ზუზუნებს სევდით
მავთულებში ქარი:
— ოხ, თეატრი განა
შენი საქმე არის?..
თავს აქნევენ იქვით
გზაზე ნაცნობები:
— სად მიჰქრიხარ ასე,
თუ დაგაქვს ცნობები!..
მაგრამ ურყევია
დღეს ბერიას ნება...
მივა და კასასთან
კარაქივით დნება,
და აი ბილეთიც,
კურთხევა, გზა, ხიდი...
და გულმოშვებული
კარებისკენ მიდის...

—

მიდის ნაბიჯით გრძელით,
და გული არ გრძნობს იშკილს...
უცბად მეკარე ეტყვის:
— **პაკუპაიტე ფიშკი!***)
თუ არ იყიდეთ, შესვლა
აკრძალულია ისე!..
და წევს ბერია უკან
კარისკენ გაწვდილ კისერს.
დასწყევლოს ღმერთმა, ფიქრობს,
განცვიფრ-განაკვირი,
ყოფილა ეს თეატრი
სხვაგვარი, სხვანაირი...
ვიცოდე მაინც რაა
ეს საჯანაბე ფიშკი,
იქნება საჭმელია,
უწინ რომ იყო.—„პიშკი“..**)
უნდა ვიყიდო, წესი
აქ ასეთია ალბათ!..
იძენს ფიშკებს და სხვები
ხელში უცქერენ ხარბათ...

—

როგორც იქნა, შედის
სანუკვარ ოთახში...
ხედავ ხმაურია
იქვე შეყრილ ხალხში.
რაღაცა ტრიალებს
და თავს ასხამს რეტს.
გაისმის ხმა მძლავრი:
— **სტავოკ ბოლშე ნეტ!..**
და აქვთ მაყურებლებს
თვალები ვით ჭოტს...
კვლავ ძახილი მწარე:
— **შესტ, ჩორნაია, ჩოტ!“**
რაღაცას ფრიალი,
კვლავ ხმაური ყრუ,
და ძახილი ისევ:
— **დელაიტე იგრუ!..**
პატარა ცხენები
მიჰქენებენ წრეში,
გარშემო კი ხალხი
იწვის თავის წვენში.
ვიღაც იკურთხება:
— **პროიგრალსა, ჩოტ!..**
და ძახილი ისევ:
— **დვა, კრასნაია, ჩოტ!..**

—

მაგიდას მოწიწებით
უახლოვდება ბერია;
ფიქრებში ჯიბე უკვე
მოგებით გაუბერია.
აღარ ეძებს თეატრს,
ჯიბისკენ მიდის ხელია,
ასეთ შემთხვევას ზოგნი
წლობით ამაოდ ელიან.
ჩასძახის ყურში ვიღაც
სცადე იღბალი ბერია!..
მანეთიც რომ მოიგო,
შენთვის ისიც კი ბევრია!..
და ცხენები ქრიან,
თავს ასხამენ რეტს...
ისმის ხმა მაგარი:
— **სტავოკ ბოლშე ნეტ!..**
**დვა, კრასნაია... პიატ..**
**ნეჩოტ... ჩორნაია... ჩოტ!..**
დაყვა ბერია ჩვენი
ცხენთა ჯირითის სპორტს.
მოგება ერთი-ორი...
მოგება ერთი-შვიდი...
მაგრამ შინ ბოლოს მაინც
უკაპეიკოთ მიდის...
მოდი და ენდე აწი
ამ საჯანაბე სოფელს;
მიეზლო ჯამაგირი
„ცხენების“ პატრონს „სობესს“...
პირველად მოსვლის წუთებს
ლოცავს შიკრიკი ბერია...
დღით—სიარულს, და ღამით—
ამ „ცხენებს“ გაუბერია...
გულს არ იტეხავს მაინც
და დაღამდება ვიდრე,
მაგიდას მოუჯდება
და ელის იქ სიმდიდრეს...

**სინტო.**



*) ფულის მაგიერი ქაღალდის ტალონები „პტი შვო“-ში სათამაშოთ.
**) ერთგვარი ნამცხვარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა




## სადა ხარ?



თუ ასეთი ცხვირსახოცი არა გაქვთ, შეუძლებელია აიაროთ **ხაშურში** საძაალო საწყობთან არსებულ მაზუთის გადამქაჩავ მემანქანეთა საკუჭნაოსთან, ისეთი სიბინძურეა იქ.

სანიტკომისიავ სადა ხარ, ან რომელსა ჭნარესა?

**ხეობელი.**

## იშვიათი სასწორი



ეს სასწორი ეკუთვნის ანდრეევის ქუჩაზე **აბაშიძის** შენობის საწყობს, და ამ სასწორის საუცხოვო ღირსებას ის შეადგენს, რომ იგი 30 გირვანქას ერთ ფუთად სწონის. ნუ გაგიკვირდებათ, რომ სასწორი არ სვამს, არ სჭამს და მაინც სუქდება—წონაში იმატებს. თუ ამ ზომით იმატა აბაშიძის სიმსუქნემაც—ვეჭვობთ იგი სატუსაღოს ჩვეულებრივ საკანში დაეტიოს.

**ხურ მელახპირელი.**

## მცირე რამაა საჭირო



სულ რამდენიმე ამისთანა ლამპაა საჭირო, რომ მესამე უბანში **მესხის** ქუჩაზე ღამით მგზავრმა გზა გაიგნოს და ორმოში არ ჩავარდეს. თუ ორმოებსაც ამოავსებენ—ალმასკოს არავინ დაემდურება.

**ზაჰი.**

## კუდა-აზნაური



აი, ამ ძველებური იარაღით დევნის თავის მდგმურებს ძველებური კუდა-აზნაური **ლადო ზაალიშვილი**, რომელსაც ანაურის შესახვევში აქვს სახლი № 7. ის ხშირად იკვეხის:—„მე ძველი აზნაურა ვარ და ძველი ხანჯალი მიჭრისო“. გააცნეთ ამ ძველ აზნაურს ახალი კანონები, შეიძლება მან მის ძველ ხანჯალზე უფრო გასჭრას.

**ვინმე.**

## სიტყვაკაზმულობა



საქმეზე მისულ მოსამსახურეებს ხშირად ასეთი სიტყვებით უმასპინძლდება სად. **ხაშური** საქმის მწარმოებელი ვეფხვაძე

ნურც ამ „ტუმართმოყვარე“ ადამიანს დასტოვებენ უყურადღებოდ და სასურველია—მასაც გაუმასპინძლდებოდინ.. პანოორია.

**...ყველი.**

## მიხედეთ



**ფოთის** მახლობლათ არის ბარაკი, სადაც რკინის-გზის მუშა-მოსამსახურენი ცხოვრობენ. რადგან ამ ბარაკის სახურავის შეკეთებას არაფერი ეშველა და დღემდე აწვიმს შიგ მცხოვრებ მუშა-მოსამსახურეებს, საჭიროა ასეთი ქოლგები მაინც შეიძინონ მათთვის.

**ვინმე.**

## სამი თვეა

$$\frac{1}{X}=\frac{1}{XI}\quad\frac{31}{XI}$$

ამდენი ხანია ოზურგეთის მაზრის მილიციონერები ჯამაგირს ელიან და დამშეული მილიციონერები უხალისოთ მღერიან:

— იქნებ შეხვდა გზაში ვინმე და შორი გზით მოიარა,

ამდენი ხნის ცდა-ლოდინმა ვაი თუ ფუჭათ ჩაიარა!

ვინ იცის, ამას ალბათ მეოთხე თვეზე გავიგებთ.

**გერასიმ როყვა.**

## აუ!



ამისთანა თბილი სპეც-ტანისამოსი—აი, რა აკლია სალიანდაგო სამსახურის **მე-4 უბნის** ლიანდაგის დარაჯებს. მიუხედავათ ამისა დარაჯები ფხიზლად დარაჯობენ თავის საქმეს, ხოლო ადმინისტრაციას კი სძინავს და თვითაა სადარაჯო.—აუ, გამოიღვიძეთ!

**ცქვიტა.**

## არ შეწუხდებიან

№

ფასი...

ხშირად ეს ორი რამე აკლია სად. **გურჯაანში** გაყიდულ სამგზავრო ბილეთებს. ეს მგზავრებს აწუხებს, მაგრამ მგზავრები არც ძალიან შეიწუხებენ თავს თუ ბილეთს ნომერი და ფასი ექნება, ხოლო დაუდევარი მოლარეს მოაკლდება.

**ჩიტი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჩვენი საჩუქარი



ტარტაროზი ამ ერთ ურემს ქვასა და სილას გზავ ის, ხოლო თუ მას ალმასკომი თავის მხრივ კიდევ რამდენიმე ურემებს დაამატებს მერვე უბანში **ამატუნისა და საპნის** ქუჩებზე აყრილი ქვაფენილი შეკეთდება და ხალხის მომადლიერების საქმეც გაკეთებული იქნება. **არსენალელი.**

## ერიდოს



ბი, იარაღი, რომელიც 18 დეკემბერს მთავარ სახელოსნოს საიაგოხო საამქროს მუშამ **ალ გვარამაძემ**, ღვინით გალეშილმა, თავისი ამხანაგის დონეცკოს წინააღმდეგ ამოიღო სახელოსნოში. გვარამაძეს ვურჩევთ დახას ერიდოს, თორემ დანა ისეთი იარაღია, რომ ისით დონეცკოს დაჭრა კია არა, იმ ბაწრის გაჭრაც შეიძლება, რომლითაც გვარამაძე სავაგოხოს საამქროზეა მიმაგრებული

**გ—ში.**

## ხომ არ კოჭლობენ



სად. **ძირულაში** ასეთი ორჩაფეხით დაიარება კულტურული მუშაობა. ამ საქმის მეთაურებს თუ თვითონ მაინც უვარგათ ფეხები და გონება უჭრით მოაგვარონ ეს საქმე, ხოლო თუ ისინიც კოჭლები არიან, მაშინ ასეთ მძიმე საქონელს ორჩაფეხი ვერ გაუძლებს, ურმით გახდებიან გადასატანი.

**სანსალი.**

## იშვიათი აუქციონი



მილიონი მანეთი ქონდა წინეთ **ტიგა ტერ-აკოფოვს.** ცოტა ხნის წინათ არც სპეკულიაციას უკადრისობდა და ჩერვონეცებითაც ვაჭრობდა. დღეს ეს პირი სახელმწიფო ბანკ იაც მსახურობს და... კავშირის წევრათაც ირიცხება. აი, მართლა საბანკო აუქციონიც ეს არის:

— ასეთ ფასად კავშირის საწევრო წიგნაკი ჯერ არსად გაყიდულა.

**ძია ვახო.**

## ბათომი

ყინვა და სიცივე...
და კრიზისი ბინის...
ამიტომაც იმატა
აქ ვაჭრობამ ღვინის.

სურსათ-სანოვაგის
დაიწია ფასი.
სოფლებიდან მოაქვთ
მაკიდო და პრასი.

ღირს მანეთი ხუთი
აქ მამალი ბატი.
(თუმცა ხუთ შაურად
ღირს ღვთისმშობლის ხატი;
შუშაში ჩასმული,
კარგად დანახატი)

არის ტანსაცმელი
ფანელ-შალეული,
თუმცა კოოპერატივს
აქ გამოლეული.

აბა, კალოშები
სულ არ არის ძვირი.
(თუმცა შოვნა მისი
არის გასაჭირი)

აბა, ნარმა, ჩითი,
გასაწყობი ფრაკის,
კლავზე დასაკიდი
რედიკული ლაკის

ბლომად არის ყველა)
სასარგებლო ნივთი
(სხვები რაც იქნება
თავისთავად მიხვდი)

დუხ-პამადა-პუდრი—
ესეც არის ბლომად...
ქონი, ერბო, ძეხვი
არის გასაძღომად.

—

რესტორანებში კი
ყველასა სჯობს „რური“
სადილზე არ გყოფნის
იქ მანეთის პური.

რით სჯობს „ალავერდი“
ანდა „მოდი, მნახე“!?
თუ არ გჯერა ჩემი,
მართლაც მოდი, ნახე.

—

სიცივე და ყინვა...
მზადებაა შეშის...
ათ მანეთსა ფასობს
ფეხსაცმელი მეშის.

ჯამაგირს უმატებს
„ატვესტსტვენ“-ებისას..
ლებულობენ ფულებს
და ივსებენ ჯისას.

„მინიმუმები“ კი
ილოკავენ თითებს.
ბაზარში ჰყიდიან
თავის ცოლის მზითებს.

[illegible]

## „ორი მეტოქე“
### ოზურგეთისათვის

**ეპომ** გასძახა ვაჭრებსა:
ადგილი დამიცალეო.
ვაჭრობას ერთი ასათა
გავაფართოებ მალეო.
ახალი გამგეობა მყავს
ზოგ-ზოგი გამოვსცვალეთ.
წევრებიც მომემატება
დღეს იქნება თუ ხვალეო.
განყოფილებებს გავაღებ
თქვენი დუქნების გვერდითო.
შიგ ჩავაყენებ ნოქრებსა,—
და მაშინ გამიჩერდითო.
ჩვენ ხომ ახალი მოდგმა ვართ,
თქვენ ძალზე ჩამიბერდითო.
წავიდა თქვენი დროება
დღემდე რომ კარგად მღერდითო.
**ვაჭრებმა** უთხრეს ეპოსა:
ნეტავი რასა ჰყვირიო?!
ჩვენ კარგად ვიცით—შენ რომ გაქვს
უზომო გასაჭირიო.
საქონელი გაქვს სულ ცოტა
და ისიც ჩვენზე ძვირიო,—
და თუ ნაკლებად გაჰყიდე—
გამოგეთხრება ძირიო.
ჩვენი ხარჯები მცირეა,
შენ სარჩენი გყავს ბლომათო.
სამი ხომ გამგეობაა
ძალაზე გასაძღომათო?.
რამდენი ბუღჰალტერი გყავს
გადაქცეული ჯდომათო...
ამიტომაც ველარ გვაჯობებ,
თუ გინდ გადიქცე ლომათო.
**ეპომ** შესძახა ვაჭრებსა:
აი, თქვე გაიძვერაო;
დღეს თქვენი კაი კაცობა
არავის აღარ სჯერაო.
მე რომ არ ვიყო,—ფასებსა
ასწევდით მრავალჯერაო
და მყიდველს გაატყავებდით,
როგორც წიწილას ძერაო.
თქვენთან სავაჭროდ მყიდველი
ველარა მოდის შიშითო.
თუ ვინმემ ფეხი შემოდგა,—
გამორბის ვაი-ვიშითო;
ზოგს კი წონაში ატყუებთ,
ზოგს კიდევ,—ანგარიშითო...
არ გათეთრდებით ყორნები,
რაც უნდა გხეხონ ქვიშითო.
**ვაჭრებმა** ეპოს შესძახეს:
ვერას დაგვაკლებ ხლართითო.
თუმცა ძალიან ქაქანებთ,
მაგრამ ვერაფერს გახდითო.
წევრებიც შემოგეცალა...
ბოლო დროს ისე წახდითო,—
ვინც შეგრჩათ ძლივს-ღა აპურებთ
მარილითა და ნავთითო.
თქვენი დავთრები სავსეა
ვალებით, ნისიებითო:
თუ ვინმემ რამე წაიღო
არ მოაქვს თავის ნებითო.
საქმე ხომ არა კეთდება
ლაზღანდარობით, კრებითო,
სხვისი ლანძღვით და გინებით
თავისი თავის ქებითო.

[illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „განკითხვის დღე"



**ღმერთი**

გადმოდით აქეთ, ხომ იცით
სამოთხე ცარიელია
კარებთან ტყვილად დამდგარან
მიქელ და გაბრიელია

**ტარტაროზი**

ჯოჯოხეთი კი სავსეა,—
კიდევ ემატეთ მრავალი.
აქ თავმოყრილი იქნებით
ყველა უკუღმა-მავალი.

## თანრიგთა განაწილება




**შჩ—1**

აჰა ექვსი გაიყავის...
და იკმარეთ აწდა ბრძოლა...
თორემ ევგენ ვასილის ძემ
ბევრი თქვენიბრ გაიყოლა..

ლ.

მუხლი მოჰხარა ხატის წინ...
სთხოვა:—გთხოვ მონა შენს,
მაპატიებდე, უფალო,
რაც სისულელე ვქენიო

აწი მე ღვინოს არ დავლევ,
(თუმცა არ არის ადვილი)
ოღონდ რევიამ და კრებამ
მე დამიბრუნოს ადგილი.

ერთი წლის განმავლობაში
მე თუ ავიღე ჭიქაო,
მაშინ მოდით და გამაძრეთ
სუყველამ სურგზე სიქაო.

სთხოვა ალექსიმ ადგილკომს:
ხატებზე დავიფიცეო...
მე აწი ღვინოს არ დავლევ,
ჩემი სიტყვაა მტკიცეო.

—

დაუბრუნეს სამსახური,
გაუწიე მოხუც რიდი.
ჭიქით არ სვამს... მაგრამ უდევს
ღვინით სავსე თეფში დიდი

თეფში არის დიდი კოვზი
და პურისა მონატეხი
ღვინოსა ხვრეპს სუფის ნაცვლად,
არის ფიცის არ გამტეხი.

**მაჯლაჯუნა ჯანუმ.**

## ხერხი სჯობიან ღონესო, ალექსი მოიგონებსო

ტარტაროზ, თქმულა ანდაზა
ხერხი სჯობია ღონესა...
ალექსისთანა კარგ ხერხსა
სხვა ვერვინ მოიგონებსა.

—

ჩვენსა ალექსის უყვარდა
ღვინო კახური—სვირული...
დღედაღამ იყო ტიკებში
ჩავარდნილ და ჩაძირული.

სახლში ცოლშვილი უცდიდა,
ალექსის შემხედვარეა...
ალექსი გამოჩნდებოდა,
როგორც ახალი მთვარეა.

ამხანაგებში იტყოდა:
„ცოლშვილი მყავდა ავადა“
(იმ დროს, როდესაც ცოლშვილი
ეძებდა იმას თავადა).

—

ალექსის უთხრეს:—თრობაზე
წინადადება გსმენია...
დღეს მოგხსნეს მუშაობიდან;
ეს კრების განაჩენია.

—

ალექსი უკან დაბრუნდა,
თან აუცრემლდა თვალია.
ხან თავს იმართლებს თვის გულში
ხან ამბობს:—ჩემი ბრალია...

ისევ მივმართავ რევიას,
ის კარგი კაცი მგონია...
მაგრამ თავი რით ვიმართლო—
ეს კი ვერ მომიგონია.

არა... ჯერ წავალ ქვაშეთში,
ერთ წლით შევსწირავ ღვინოსა,—
შემდეგ კი პატიებას ვსთხოვ
და იქნებ შეისმინოსა.

—:—

წავიდა ეკლესიაში,
დაუნთო ხატებს სანთელი.
სხვა არვინ იყო მის გარდა,
კედლებს მოედო ნათელი.



ეროვნული ბიბლიოთეკა

„მსოფლ ო ცირკი"




ეროვნული ბიბლიოთეკა

# უმუშევრის ცხოვრებიდან

საღამოს 4 საათი იქნებოდა, როდესაც შევძვერი ჩემს „საყანულეში". გარეთ უფრო სითბო იყო და ავიტო კარები ღია დავტოვე—იქნებ პატარა სითბო სახლშიც შევიდეს-მეთქი.

უცებ ჩემი გვარის ძახილი გავიგონე ეზოდან, ოღონდ არ იყოს და, ეშმაკმა დამიშინდა: ბინის ქირა მქონდა გადაუხდელი და სასამართლოში არ მიბარებდენ მეთქი. მაგრამ სასამართლოს უწყების მაგიერ, კ-ი კოხტა წერილი მივიღე დედისაგან.

დედა იწერებოდა:

— ხვალ დილით პირველ მატარებელზე დამხვდი; ყველაფერი ბლომად მოგაქვს

— მე ათლად წარმომიდგა შემწვარი ქათამი, გოჭი და ხაჭაპური.

საჩქაროდ მოვიწვიე აზრთა კონფერენცია, რომლის დღის წესრიგი შემდეგი იყო: **დედა ჩემის და სურსათ-სანოვაგის შეხვედრა.** კონფერენციამ განიხილა ეს საკითხი შემდეგნაირად:

მატარებელზე დასახვედრათ საჭიროა ბაქანზე გასვლა; ბაქანზე გასასვლელად საჭიროა—ბაქნის ბილეთი და ვინაიდან ამ უკანასკნელს პანღურზე არ იძლევიან—არამედ ჰყიდიან ორ შაურად—ამიტომ გამოტანილი იქნა „რეზოლუცია". **შეძენილ იქნას საჭირო თანხა.**

დავკეტე ჩემი ბინა და გავსწიე სადგურისაკენ. დიდხანს ვათვალიერე, ვითომდა „მარკას" ფულად, ვიშოვნე საჭირო „ფინანსი" ამ მოვლენამ ისეთ კარგ ხასიათზე დამაყენა, რომ სადგურიდან ღიღინით წავედი და გზაში ორ-სამ ქალიშვილს გვერდი -კი გავუარი. ფურნესთან რომ გავიარე და პურს შევხედე, გავჩერდი და ყოყმანი დავიწყე; კინაღამ შემა დინა კუჭმა -და პური კი აღამ ვიყიდე, მაგრამ გამახსენდა ბაქანის „ბილეთი" და რომ ეშმაკს არ შევეცდინე, გავიქეცი და სულ სირბილით მივედი სახლში;

სახლში მისვლისთანავე ქვეშაგებს შევაფარე თავი.

იმ ღამეს ხან გოჭი ვნახე სიზმარში, ხან პური—მჭადი და ათასი სხვა საჭმელები;

გათენებისას წამძინებოდა, მაგრამ „გუდოკმა" გამომაღვიძა. ადგომა დავაპირე. მაგრამ ქვეშაგებში გაბმული ალმოვჩნდი. როგორც იქნა გამოვაძვრე ერთი ფეხი საბანიდან—მეორე ლებადან, თავის ბალიშის პირიდან და დევიდაყე ჩაცმა. ჯერ შარვალი ჩავიცვი—რომელიც ისე დაბოლებული იყო, რომ კაცს მოვარჯიშე თუ არა, ნახევრად მოვარჯიშე მაინც ვეგონებოდი. შემდეგ ფეხსაცმელები ჩავიცვი, ეს უმფრო „უძიროს" ჰგავდა, რადგან ძირი სრულიად აღარ ჰქონდა; ვინც ათამდე თვლა იცოდა, უყველა შეეძლო ჩემ „ფეხსაცმლიან" ფეხზე ათივე თითის დათვლა

ერთხელ ქუჩაში რომ მივდიოდი ილაც ვაჭარი თ თეზზე რაღაცას ითვლიდა: 6, 7, 8, 9, 10,... რომ გამოელია ყველა თითები, გადმოხ და ჩემს ფეხებს და განაგრძო თვლა—11, 12, 13, 14,...

გული მომივიდა: „ჩოთქი" ხომ არ ვარ მეთქი მაგრამ ვერაფრის თქმა ვერ გაუბედე.

ჩავიცვი ხალათი, რომელიც ისე ვიწრო იყო, რომ ხელის ჩამორთმევას მიშლიდა—თუმცა ეს უკანასკნელი ხშირად არ მიხდებოდა ღვთის მადლით.

დევიხურე ქუდი ჩევიცვი ჩემი „პალტო" ეს იყო „დაბადებული" ამერიკაში შემდეგ „გაბრაკული" და გადმოგზავნილი „სალდატსკი ბაზარში" სადაც ნაყიდი იყო ოთხი მანეთის წინედ. სრულებით არ მათბობდა, მაგრამ მაინც ვათრევდი ტრაის გულის მოსაკლავად.

ასე „გამოწყობილი". მივადექი სამისამართო ბიუროს, ადრე გაასწავლელი ბილეთი მომცეს. გავექანე გასავლისაკენ; მეკარემ ჩემს ორ შაურიან ბილეთს შაურის მოაპია, შაურის კი ხელში მომაჩეჩა.

მატარებლის მოსვლა ადრე იყო და ამიტომ ბარგის საზიდავზე ჩამოვჯექი. ხელები „თბილ" ადგილას ჩავიწყვე და ფეხის თითებზე ვიანგარიშე, რომ სამ დღეში შეჭმული მაქვს (იმ დღეს არ ვათვლი) $^3/_4$ გ. პური ე. ი. დღეში იწევდა $^1/_4$ გირვანქა.

ასეთ „ბუჰგალტერიაში" ვიყავი, როდესაც იკივლა მატარებელმა და კიდევაც ჩამოდგა.

წამოვხტი, მაგრამ შიგნით დამიწყო ისეთი ცემა, არ ვიცი გული იყო თუ კუჭი, ისე კი ვგე და, რომ ორი ვირის ძალიანი მოტორი მეგონა ჩემს მუცელში.

დედაც დავინახე, მანაც დამინახა და ისე ეცა საამბოროდ, რომ—როგორც არ მივყრდობოდი, ეს შიმშილით დასუსტებული კაცი იქვე გავიშხლართებოდი

დედას მართლა ყველა ერი ბლომად ჩამოეტანა. ავიკიდე და, ის იყო წასვლას ვაპირობდი, რომ თავში ვიღაცამ მთხლიშა; თვალები დამიბნელდა. ცოტა რომ მოვსულიერდი, „ნასი ჩიკი" დავინახე.

— „შენ რა ნიბა გაქვს ბარგს რომ ზიდავ? აძისთვის ჩვე ვართ".

ახლა კი მივხდი რას მე „უპატენტო" ბარგის მზიდავი ვყოფილვარ.

დიდის უბედ რობით დაუმტკიცე ჩემი „მემკვიდრეობა" ამ ბარგზე—და გაუდექი გზას.

როგორც იქნა გავედით გარეთ და უფრო თამამად წავედი, მაგრამ არც აქ ამცდა ხათაბალა: დამხვდენ კურტნიანი მუშები, და იწყეს ყვირილი, რომ მე მათი კავშირის წევრი არ ვიყავი და უფლება არ მქონდა ბარგი წამეღო.

ამათაც ის ვგონე ჩივარ რაც „ნასილჩიკს" ისე ვუყვირე, რომ სადგურის საათს შეხედეს—„გუდოკი" ხომ არ ყვირისო.

მივედი სახლში. მისვლისთანავე ვეცი კალათებს და ამოვაბრძანე მაი შემწვარი გოჭი, რომელსაც ხელი წოა დაუწყე თუ რამდენი იქნებამეთქი, უცებ დედა დამიძგერა, აცხანაგი გოჭი ხელიდან გამივარდა—და სამივე იატაკზე დავენართხეთ.

ამ დროს მომადგა კარზე სამი ძმაბიჭი (ალბათ ბოხაგის ჩამოტანა თუ გაიგეს) რომლებმაც ფეხზე წამოგვაყენეს „კატასტროფის" მიზეზი გოფილა ჩემი ერთადერთი საძფეხიანი სკამი, რომელზედაც დედას მოუნდომებია ჩამოჯდომა.

ყველა ჩამოვსხედით ჩემს ლოგინზე, მოვაჩოჩე სკამი, მოუდგი გვერდში პატარა „ფესტის" ფეხი,—რომელიც სამი წლის იყო, მაგრამ რადგანაც ორჯერ მეტად შიგ ცეცხლი არ მთებია, სულ ახალს ჰგავდა გადავაფარე ფეჩზე გაზეთი და გაჩაღდა სადღეგრძელო.

დედამ ქათმის შემწვარი კუჭი მომაწოდა.

— „ო! მაგის რჯული"—წამოვიძახე და კუჭი გარეთ გადავაგდე:

უნდა მოგახსენოთ, რომ პატარაობისას ძალიან მიყვარდა კუჭი და ეხლა როცა დავამტკიცე რომ კლასთ



გადავაფარე ფეჩზე გაზეთი და გაჩაღდა სადღეგრძელო.

ბრძოლა, სისხლის ღვრა, რევოლიუცია, კონტრ-რევოლიუცია, სპეკულიაცია და „გაფლანგვა“ სულ კუჭის ბრალია, იგი ისე შემცირდა, როგორც „ჩერვონცებს“ ჩემი ჯიბე.

ჩემს ამხანაგებს, რომ გადავხედე, ცოტა არ იყოს გული მომივიდა,—ეს მამაცხონებულები ისე არხეინად ულაპავდენ ამ გოჭის და ინდაურის ხორცს, თითქო ყოველდღე აჩას სჭამდენ და მიჩვეულები ყოფილიყვენ. მარა რომ მომაგონდა: დედა ამათაც ჩამოუვა და მეც აგრე მოვიქცევი მაშინ-მეთქი, გული დამიწყნარდა.

როგორც იქნა მოიფიქრეს ჩემმა სტუმრებმა წასვლა. ცოტა არ იყოს და—შემცივდა, დიდის წვალებით გავაგებიე დედას, რომ აქ ფუთობით იყ დება შეშა და ძალზე გაკვირვებულს გამოვართვი 60 კაპ.

წავედი, ვიყიდე ათი შაურის და ორი შაური კი გავფლანგე, ავაგუგუნე ფეჩი, ავაბოლე „პაშტუკამი“ ნაყიდი სავეტსკი და იმ დღეს ჩემზე ბედნიერი მორგანიც აღარ მეგონა.

* *
*

— შვილო, უნივერსიტეტში როდის მიხვალ?—შემეკითხა დედა მეორე დღეს.

მე გავაგებინე რომ იქ სიარული დიდი გზის გავლას თხოულობს და, ვინაიდან ალმასკომის დადგენილებით, მალე ხიდს გააკეთებენ უნივერსიტეტის პირდაპირ, აი, მაშინ დავიწყებ იქ სიარულს მეთქი.

როცა გამოვქეხი, დედა-ქალაქის სანახავად წავიყვანე. მელაკის ქუჩით გავედით ჩერქეზოვის ქუჩაზე; აქ დედას აუხსენი, რომ დიდი წვიმების დროს ამ ქუჩაზე დინარე წარმოვა და ხალხსაც კი აბრჩობს-მეთქი; მან ეს არ დაიჯერა.

ჩავედით ყოფილ ვორონცოვის მოედანზე. აქაც განუმარტე, რომ ამ ადგილას უწინ ვორონცოვის ძეგლი იყო, ეხლა კი—კარლ მარქსის ძეგლი არის.

დედამ მიიხედ-მოიხედა და ძეგლი ვერსად დაინახა მე აუხსენი რომ ძეგლი დადგმული ჯერ კიდევ არ არის, აგრა მისი დადგმა განზრახულია. თანახად სისხლის სამართლის კოდექსისა, კაცის მოკვლის განზრახვა, ან ისი მოკვლა—სულ ერთია, ამის დამიხედვით, მარქსის ძეგლი თითქოს ყოფილიყოს.

გავედით ხიდზე, უცებ ქუჩის მეორე გვერდზე ერთ ნაცნობ ქალიშვილს თვალი მოვკარი, ისანა მომკერა, მე შევამჩნიე, რომ ის მომჩერებოდა და იცინოდა დამცინავად ხელთავში, ნამდვილად მიჩანს რამე მეთქი, მაგრამ თითქოს ყველაფერი რიგზე იყო, დედამაც დამამშვიდა, არაფერი გიჩანსო, ხოლოდ ქვედა საცვალი მოგიჩანდა შარვალში ცოტათიო; ეს მე არაფრად მიყენია, რადგანაც ხალხი მაინც დარწმუნდება, რომ საცვლები მაცვია. დედას პატარა ფული ჰქონებოდა და მითხრა:—რა გინდა რომ გიყიდოო, მე ჩვეულებისამებრ კინაღამ პური წამოვიძახე, მაგრამ დროზე შევიკავე თავი.

ჩემის აზრით ყველაფერზე უფრო საჭიროა უმუშევრისათვის სამსახური—და თუ ეს არ იქნება მაშინ ტანისამოსი, იმიტომ, რომ თბილისში ბევრი ნაცნობები ჰყავს კაცს და ნათესავეც; ზოგთან სამალავად მიხვალ, ზოგთან ვახ მათ და აგე გაიტან თავს.

მაგრამ თუ მთელი „ომბუნდიროვკის“ ფული არ არის, მაშინ საჭიროა დაკვირვება, თუ რომელი უნდა იყიდო.

უმეტესი ნაწილი იმ აზრისაა, რომ ტანისამოსში—ფეხსაცმელები უფრო კარგია; შემდეგ შარვალი, და ბოლოს კი—ბლუზა.

ეს აზრი მიუღებელია—რასაკვირველია უმუშევრისათვის, თუმცა მართალია სამსახურის შოვნისათვის ბევრი სიარულია საჭირო და ამიტომ ფეხსაცმელიც კარგია, მაგრამ სამსახური კაცს უნდა კუჭის დასაკმაყოფილებლად, ასე რომ მთავარი საკითხი კუჭშია. მაგ. კარგი ფეხსაცმელები და შარვალიც მაქვს, მხოლოდ ხალათია დახეული; დამპატიჟეს სადმე „კომპანიაში“;—როდესაც შევალ ოჯახში, და სუფრას მოუჯდები, სირცხვილში ვიქნები, რადგან ხალათს ვერ დავმალავ.

ეხლა, პირიქით, მაქვს კარგი ხალათი შარვალი და ფეხსაცმელი კი—დახეული. მივალ სტუმრად ოჯახში, მართალია ძაან შემრცხვება, მაგრამ სუფრას რომ მოუჯდები, ფეხებს მაგიდის ქვეშ შევაწყობ და შარვალიც არ გამოჩნდება; არ ავდგები, სანამ წამოსასვლელათ არ შ იქნება საქმე; მაშინაც მთვრალი ვიქნები მთვრალს კი შარვალი თუ გინდ ჩავარდეს, მაინც არ შემრცხვება.

სწორედ ამ მოსაზრებით, ვიყიდეთ იაფ ფასიანი ხალათი.

კავშირთან რომ გავიარეთ, დედას დავანახვე მეოთხე სართული და უთხარი:

— მე იქ დავდივარ და იქ ვარ სამუშაოს საძებნელათ ჩაწერილი.

როგოროც შევატყვე, დედას ესიამოვნა;—ჩემი შვილი რა სიმაღლეზე ადისო.

ის კი არ იცოდა რომ მშიერი კუჭით იქ ასვლაზე რა უბედურობა მადგებოდა; ვისაც გამოუცდია, ყველა დამემოწმება ამაში და ვისაც არ გამოუცდია, ღმერთსა ვსთხოვ—გამოეცადოს.




რად უნდა ამდე ი აური... ზაური?!? ჩამოდი სახქარ დ თოთხმეტი შაური.

მიიღ ბ „მუშა“-ს და „ტარტაროზს“ ჟურნალსა ყოველგვარ ტკივილის მომრჩენს და ჟურნალსა.

სალამოს ძალიან შეგვცივდა და დედამ მითხრა:

— ერთი იმისთანა ღვთისნიერი კაცი იქნებოდე, შეშას მოგვცემდესო.

— ეჰ! დედა ჩემო, ვინ იქნება იმისთანა სულელი, რომ ეხლა შეშა მოგცეს!?—ნაღვლიანად უპასუხე მე.

გავიდა ერთი კვირა.

ისე ჩემბერლენს გამოელია თვალში სინათლე, როგორც მე საჭმელსასმელი გამომელია. დედამაც გამიცხადა: ხალათი რომ გი იდე, ბილეთის ფული აღარ დამრჩენიაო.

მატარებელი, ჰაეროპლანი, ავტომობილი, ტრამვაი, ეტლი, დროგი, მოტოციკლეტი, ველოსიპედი და ვირიანი „ტაჩკა“ რომ ერთად დამტაკებოდ ნ, ისე არ შემარ ედა, როგორც დედას „დეკლარაციამ“.

რომელ წყალში გადავარდე, არ ვიცი!

შიმშილისაგან ძლივს დავიარები. მასესხე-თქო ვერ ვიტყვი. არ იფიქრებს—საიდგან მიბრუნებსო?.. მაჩუქე,—ვერ იტყვი. თავმოყვარეობა მეც მაქვს... ისევ ჩვენი კავშირი... ისეთ განცხადებას მივსცემ, რომ ქვას გავარღვევ—მეთქი...

დავჯექი იმ ღამეს და დავიწყე წერა. ჯერ ჩემი სოფლის მდებარეობა აღვნიშ ე, მერე საზღვრები, ჰავა, მოსავა ი, მერე სახლ-კარზე დავწერე, ჩამოვთვალე მსხვილ-ფეხა, წვრილფეხა და „ორ-ფეხა“ საქონელი.

როგორ იქნა მოვრჩი წერას, გრძელი განცხადება გამოვიდა, მაგრამ გრძელი იმედები იყო მასზე დამ არებული.

ქარიანი დღე გათენდა. ისეთი ქარი იყო, რომ ჩემი მგზავრობა ხიფათს წარმოადგენდა. ქუჩაში რომ გავედი, ქარმა დამატრიალა; როგორც იქ ა დავიკავე მიმართულება კავშირისაკენ. ქარი, რომელიც „ზაჰესი“-დან უბერავდა, მომაწვა უკანიდგან და თოთხმეტ წუთში კავშირთან გავჩნდი.

მთავარი სიძნელე მაღლა ასვლა იყო. პირველ სართულზე მარჯვნივ დიდი კედლის სარკეა. ეს მე კარგად ვიცოდი და ამიტომ იქ გავლისას თვალები დავხუჭე რომ ჩემი ცოდვილი თავი არ დამენახა შიგ. საათს რომ შევხედე, რვა წუთი იყო თერთმეტის; დავიწყე ასვლა, მეორე საფეხურზე რომ ავედი, კოხტა ქალიშვილმა გვერდში ამირბინა; მეხუთე სართულს შევუდექი, როცა ისევ ამ ქალიშვილმა მეოთხე სართულიდან დაბრუნებულმა გვერდში ჩამორბინა. მე იმის სისწრაფე გამიკვირდა,—იმას კი ჩემი „სისწრაფე“.

ჩემს საოცნებო ადგილს რომ მივაღწიე, თოთხმეტი წუთი უკლდა თერთმეტს; როდესაც ჩემი განცხადება გაუწოდე მაგიდასთან მჯდომ მოქალაქ ს, მან გაკვირვებით მკითხა:

— ეს რისი კონსპექტ ა?

მე გავაცანი ქაღალდის ვინაობა.

— რომ წერდით ამოდენა განცხადებას, ამას წაკითხვა არ უნდოდა?

როცა გაიგო დახმარებისთვის ვიყავი, მომ ა სუფთა ქაღალდი, ჩემი ღამის ნაშრომი უკანვე დამიბრუნა და მითხრა:

— რაც შეიძლება მოკლე განცხადება დაწერეთ.

ღმ რთო, მომკალი, თუ კი ამის სიგრძე დავწერე, მოკლეს უფრო არ დავსწერ—ვიფიქრე, ავიღე საწერკალამი და შემდეგნაირად დავსწერე:

**„ ომ ც ფულ · გკვდ ი: ხიცივ თ , ხიმშილი, ხ ოტვლითა.**

კოხტად მოვაწერე გვარი და გაუწოდე; მოქალაქემ წაიკითხა, ცოტა გაიღიმა და მითხრა:—**ხვალ მოდით.**

აძის აგროიება ე სა ო ავათ და კრი ე კბილები და ის ვ ვედრი, რომ უარი ა ღარ მოახერხა და წაეწერა: **„„ში ცეს ხაში მა ეთი“.**

ამ დალო ილმა იკოდა რომ ა დიხი მ ორდებოდა!?—გა იფ ერე უნებაში, მა რამ აიც გა ეხარდა, რომ საღამოს დედას გავი ტკმრებდ .

ივიღე სა ი მა ეთ . ორ წუთში ჩავირ ი ი კიბ (სარკეს აინც მოვერიდ ) და მალე სახლ ი ვ ყავი.

გადავაბარე დედას ფული და ვუთხარი:

— იკ დ შენი არიელ კალათები და კირი სოფლისკენ.

თუმცა მატარებელი საღა ოს გადიოდა, და ხლა საათის თერმ ტი იყო, მაგრამ მაინც გავი ვანე სადგურზე.

**— თუ ვინმე წამო ა ჩვენე ური, ცოტა „ ურ-წყა ი“ გამომიგზავნე.**

დედა გადამკოცნ , მისურვა ალე სასახურის და „პორფილეს“ (პართფელი) შოვნა.

და ბრუნდი ჩ მს „სასახლეში“.

ჩემს ფეხ რომ შევხედე ჭ ვია ურმა აზრმა გამიარა:

— ამ ზა თარში, ტყუილია, მე სამსახურს ვერ ვიშოვნი, ე ი ფ ჩიც არ დ ინთება; ამიტო როგორც გათენდე ა; წამოვ კიდებ და „დეზერტირკაში“ უკრა თავ ; ოთხ მა ეთად კი გავყიდი.

ამ აზრმა ისე გამახარა, რომ ხელად გავთავისუფლდი ჩემი „კო ტიუმისაგა “ და ლოგინში შევ ე .

Michel.

# „ნესტორ-დევი“

ბედნიერია არავითის თემი,
სანამ უცქერის ნახუცარ ნესტორს,
რომელსაც უგავს ცხვირი მაწკასა
და კარბნის „ტრუბას“ კი ცხვირის
ნესტო.

ეკლესიებს ტვრევის და რღვევის
როცა დავარდა ხმა საშინელი,—
სწრაფად გაიძრო მან ანაფორა
და შეიკერა „სტაცკი“ შინელი...
და განცხადება მოხერხებულად
ორი ზიდიზედ მან განამზადა...
და „ნაროზრაზის“ გამგესთან წარსდგა
ამ განცხადებით ეს არამზადა:
არ მინდა მღვდლობა... შორს გად-
გისროლე
მე ანაფორა და ქრისტეს ჯვარი.
გთხოვთ მომცეთ ხელში მასწავლებ-
ლობა...
არგვეთში არის... არ მითხრათ უარი.



მეორეს გზავნის „მთავარ-მუცესთან“
და წერს:
მიიღეთ მხედველობაში,
რომ მე ვიყავი ქრისტეს მორწმუნე
მეტად დიდი ხნის განმავლობაში.
თუმცა ანაფორა მე გავიხადე
რა მექნა? გავხდი იძულებული.
ჩუმად ვლოცულობ, ვსწირავ ყო-
ველთვის
ღმერთის ძალაში დარწმუნებული.
თუ ამიბრწყინდა ეკლესიისთვის
მზე მომავალში მტრების ჯინაზე,—
იცოდე; ისევ მე უნდა დავრჩე
ჩემს ძველ ადგილზე, ჩემს ძველ
ხინაზე.

და ეს ნესტორი სასწაული ძალით
მოაქვს ორიწით ალმასკომშია...
ხელში უჭირავს მას ორი ნესვი,
როგორც ორ ხელში ერთი კომშია.

ხუტო.




## მუშებს ართმევს ხაეცებს აძლევს

სატყეო ტრესტის ფონდის განყოფილებაში ამბობენ:

— ვისაც აქვს იმას ემატებოდესო,—და ასეც ტრესტის ეხებული თანამშრომლებს ურიგებენ, ხოლო მუშებს უტანსამოსოთ სტოვებენ:

მუშკორი „შენც ქე იცი“ გვწერს:—

„ასე არის ტარტაროზო
ჩვენი სამართალი—
მოლაღტრებსა ყველაფერი,
მუშებს ტილო ჩვარი“.

და მიღებული ვერთ სატყეო ტრესტის მუშებს ამ ტილო ჩვარის ამონარაპეს და ერთ ფონდის განყოფილების გასაუფროვებს... თვითონვე მოლაღტრები ვგენ.

## აქაც კარგათ გაუნაწილებიათ

ქობულეთში როლების განაწილება საუცხოვოთ სცოდნიათ.

მუშკორი „კი მიცნობი“-ს სატყვეით:

„სამაზრო აღმასკომმა საბჭოებით აღკრძალა ღვინის სმა, წითლად ძალე ღვინო დარჩა ან ჩაიოდის, მისი სმის უფლება დაუტოვა განათლების განყოფილების გამგეს, სამხედრო მაგიდის გამგეს, გასომიძიგემელს და მისამართელებს.

ესენი კი ჯგუფურიულად ასრულებენ დაკისრებულ მოვალეობას“.

შრომის განათლებაც ხშორუცთ ასეთი უ დას:

— გამთამძიებელი — განმოიცუვს ილიბაი თუ ლვინი ხელ აწიოვებმ, მაქსამართლე — მის დალევას მიუსცის, განათლების — გამგე ძეცნოსულათ გაანათებს ლი გაამჭუ ბა ამ სამართას, ხოლო სამხედრო მაგიდის გამგე — მობილიზაცი იას გამოაცხადებს ტიკების და ბოთლებისას.

ასაბარი მაგალითიც ხშოროთ ეს არის!

## მზე ფოთიდან ამოდის

უცნაური ამბავს იწერება მუშკორი „უზნინარი“ ფოთის ფუშკომის შესახებ:—

„მუშკომის გამგე გასლავართ
ფოთის მზე და მთვარეო,
ქანქარი არ მაქვს საკოდი,
ვექსილები მაქვს მრავალი,
კრედიტისათვის მუშები
კარებზე ატუზულიაო“.

„მოხელთა მაზრამ „წყლულმა“
თბილი ადგილი ჩამოაცალეს,
ისე უეცრად გადაისროლეს —
თავის მართლებაც არ აცალეს“.

საწყალი სერგო, რომ ერთიც ისე უეცრად უ...რიათ ადგილიდან, რომ ..მის მეგობარ ხუცებსაც ...ლარ უ...ვე იათ.

მაინც ...აინტერესოა ვიცოდეთ:— რაც სერგო ისროლეს, ხუცები რა-ლა უქნ !

ისინიც ხომ არ ...დ უსვრიათ? სასურველია ამ მეგობრობას ერთმა ეთს არ დაამშორებდ .

## „მოწესრიგებული“ ტრანსპორტი

ბათუმის რკინის-გზის სადგურის შესახებ შ...ლიავა გვატყობინებს:—

„ამ სადგურზე აუარებელი ხალხი უცდის ყოველ ღამ მატარებელს. როდესაც მატარებელი მოვა, ყველა „ნაუ ...ზე“ ვიდის და მატარებელში, რომ არ ეტევიან, ერთმანეთს აჯდებიან ზურგზე“.

**— ვინ სთქვა ქალაქ ბათომზე —**

**— რა დიდი ლომი კვდებაო?**

ხოლო სადგურზე — „ტრანსპორტი კარგათ არ წესრიგდებაო“?

უკეთესი მოუგონოს ბატრანსპორტის ტარტაროზმა შეარ ბ...ინოს

როდესაც ხალხი მატარებელზე არ ეტევა, დარჩენილები ერთმა ეთიან ზურგს ... საჯდომათ და ...მგ...ზავრები ნ.. მაგრამ სად? ჩვენ მაინც ვ იქ...ობთ, რომ ასეთი „ტრანსპორტ...ით“ შორის ვერ წაჯ ლეგ ბათომის სადგური „პასაჟირ ბი“.

## გამოვიცნოთ!

მუშკორი „ხოლ-ბაბი“ შამადას გვ...გზავნის და გამოცნობას ითხოვს. იგი სწერს:—

„მარადისათვის გვქირია
ისეთი ადამიანი,
რომელსაც თუმცა ენა აქვს
სიტყვა ვერ უთქვამს წყლიანი“.

ამას რა დიდი გამოცნობა უნდა. „ენა აქვს, სიტყვა ვერ უთქვამს“, ასეთი მხოლოდ რომელიმე ადგილ...კომი იქნება, აბა მეტი ვინ!

## ადვილი მოსაგვარებელია

**ხენაკის მაზრის სოფ. მარანში** კარ მოზრდილი სახერხი ქარხანაა. ამ ქარხანაში სასადილოც არის. ამ სასადილოს ასე ასწერს მუშკორი **„ბუდუნა“**,

„ქარხნის სასადილო
ერთობ საქებური,
ხან არ არის ხორცი,
ხან კი თეთრი პური.
სიბინძურე ეძმო
სიძვირესა აქა,
რის გამო მუშებსა
გამშრალი აქვს ხახა!“

— რა უჭველის ასეთ სასადილოს? გვეკითხება მუშკორი,

ჩვენც ვუპასუხებთ: — მუშებმა ცოტა წყალი დალიონ, ხახა გაისველონ, ხმა ამოიმაღლონ და გასაგონი ხმით მოსთხოვონ სასადილოს გამგეებს სასადილოს მოგვარება. თუ სასადილოს საქმე არ მოგვარდა, ასეთ შემთხვევაში ეცადონ იქნებ სასადილოს გამგეთა მოშორება მოგვარდეს.

# „ღვინის კვირეული“



დაბა ქედაში (აჭარისტანი) გლეხკომის სასადილოს ფარულ ოთახში 1 იანვარს გაიხსნა ადგილობრივ ღვინისსმელთა დამფუძნებელი კრება, რომელზედაც დღესასწაულები გამოაცხადეს „ღვინის კვირეულად“.

აქ ამბავში რამდენი სიმართლეა იმდენი სიცრუე. მაგალითად — იცრუეს თითქო ფოთის მუშკორის გამგეობის ...ზე დამთვარე იყო, რადგან არც რომ ვიცით მზე და არც მთვარე ფოთიდან არ ამოდის, ხოლო სიმართლეა რომ ამ „მზისა და მთვარეს“ ამბავთ ქაქარი არ ამ..., ...ექ...ლები იმრავალი დღე, ასე იყოს, მუშკორი ა...გაუნაღდებელ ვექსილებს ნუ შეხვდება, ჯობია იმან იფიქროს, ვინც ამ ვექსილებით ფული ანდო ფოთის მუშკორს „მზე და მთვარეს“.

## თვით არ იყო ბელურაო, ქურქიც იაფი ეხურაო!

**ქიათურაში** დაიბადა ბუღალტერი და ეს ბუღალტერია **მიშა გრიშაშვილი,** რომელსაც ცხვირზე უზრდელობის მეჭეჭი ამოსვლია. მსახურებს იგი „საქართველოს მარგანეცის“ კანტორაში. მუშკორი „კადრელი პროლეტარის“ სიტყვით:

„მიშა გრიშაშვილი რაიმე საქმეზე მისულ მუშებს ლანძღვა-გინებით და უდიერი მოქცევით ისტუმრებს გარეთ. ამიტომ თურმე ხშირად მუშა:

— დალონებული ბრუნდება
გაჭირვებული გარედა,
ფიქრობს: ააას რას შევესწარ
ასე, რომ გვტანჯავს მწარედა.
და რაკი ეს მუშაა
ასე განაგრძობს მოპყრობას —
ტარტაროზ ტყავი გააძვრე
ნუკი გაუწევ მოყვრობას.

დიდი სიამოვნებით შევასრულებდით მუშკორის თხოვნას, მაგრამ ნათქვამია:

**„თვით არ იყო ბელურაო, ქურქიც იაფი ეხურაო“.**

თვით რა ღირებულებას წარმოადგენს ბუღალტერი გრიშაშვილი, რომ მისი ტყავი ღირდეს რამეთ? ზედმეტი შრომა საჭირო არაა — და სჯობს ხსენებული გრიშაშვილი ტყავგაუძვრალი გააფრინონ „საქართველოს მარგანეციდან“ და უკიდურეს შემთხვევაში საკენკიც თან გაატანონ სალიკვიდაციოს სახით.

## საწყალი სერგო

— კაცი ბჭობდა, ეშმაკი იცინოდაო!

ეს თქმულება სავსებით ახლდომია **ოზურგეთის მაზრ. ს ნიგვზიანის** თემსაბჭოს თავმჯდომარე **სერგოს.**

თურმე ამ სერგომ ადგილობრივათ „გაჩისტა“ მასწავლებლები, გარდა ხუცესისა, რადგან „ტარტაროზის უნცროსი ძმის“ აზრით სერგო ფიქრობდა:

„ესე ყოფილი ხუცები
საჭიროა ჩემთვის ყველა,
ვინ იცის რა დრო დაგვიდგეს
სიდან შემოგვიძვრეს მელა“.

მართლაც ვინ იცის „სიდან შემოგვიძვრეს მელა“? მოქალაქე სერგოც მოტყუებულა, სხვა მხრიდან შემოძვრომია მელა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გამოცანის შედეგი

ჟურ. „ტარტაროზის“ № 30-ში მოთავსებული გამოცანის ლოზუნგია:

**მუდამ იკითხე გაზეთი „მუშა“**

ს ორი გამოკნობისათვ ს გაზ. „მუშა“ და ჟურ. „ტა ტაროზი“ სამი თვით უფასოთ გამოეწერა შემდეგ ხუთ პირველ გამომცნობს:

1. ბურკაძე შალვა
2. ლოთვაძე ლიუბა
3. კაიშაური ილიკო
4. ტატარენკო მიხეილ
5. ჭანიყვაძე ილიკო.

სწორად გამოიცნეს აგრეთვე ქვემოდ ჩამოთვლილ პირებმა*)

.ა ლაძე, მოსეშვილი სიმონ, ბელიროძე ს., ისაკაძეები ვლადიმერი და ალექსანდრე, დავითაია ვალოდ, გოგნიაშვილი ვალიკო, ხუნდაძე ვალერიან, ტალიაშვილი სტეფანე, ჩიკავიძი ვახტანგი, გ. ლომთათიძე, გაბეჩაძე ვლადიმერ, გორგაძე ვარლამი, ა თაძე ივანე, ქ ტიშვი ი ილია, ოგვაძე კ., სადრაძე ალექ., დ ვითაშვილი შალვა, რუ იეშვ ლი ნ. ანიძე აქვს., უბაშვილი ., ელიაზაშვილი გრიგოლი, ბაკურაძე ივანე, დობორჯგინიძე ალიოშა, ჯაფარიძე ვლადიმერ, ბიბილეიშვილი ანდრო, ბეჟაძე ნიკოლოზ, ხუციშვილი ს., ლორთქიფანიძე გიორგი, ქოიავა ვასილი, გორდაძე ვ., ნათაძე დიმიტრი, მუმლაძე გრიშა, ჩხეიძე გ., გაჩიაშვილი გიორგი, ბორცხაძე, აბასაძე, ბურდული ვ., სარქი ი, ბერიძე შოთა, ქმოსანი ჩიქოვანი, ჭიაურელი ლადო, დ. გ. ლორთქიფანიძე, ცეცხლაძე ეპიფანე, კიკნაძე გრიშა, ბადრიშვილი გიორგი, ესხი გივი, ჭოლაძე ვლადიმე, გორდელაძე დიმიტრი, გურგენიძე შალვა, ხუციშვილი ესტატე, ლიდა მენქიევა, ჯანაშვილი არჩილი, იმინაშვილი, გიორგობიანი ნინო, კონსტანტინოპოლსკი ვლადიმერ, სხირტლაძე გიორგი, მესხი ვლადიმერ, ბაბლიძე ნიკოლოზი, ბუილიშვილი ივანე, წილოსანი მაკარი, ცინცაძე დ;, ციყელაშვილი ვასილი, აბრა აშვილი ელენე, გოლა ე ვ., სუ გულაძე გაბო, ძაგნიძე ივანე, ნაკაიძე დ., სამსონაძე, ბერუჩაშვილი ალ., კეთილაძე ვლადიმერ, ძატინოვი ი., ჩხარტიშვილი, ქურიძე რ., კეკელიძე პ., შალი ო, გონჯია ვილი ლადო, ხუ წკარია არჩილი ხა ბახიძე დიმიტრი, აბაშ ძე ელენე, ოჩოველიძე ნატალია, ბაქანაძე, კარლო და ბენიამინ ჭელიძე, ჭიჭინავა ვალერიან, ლომიძე დავითი, ვასაძე სიმონი, ეზიეშვილი ვა ო, ნემსაძე ვა ო, მელაძე მიხე ლ, გოგოლაშვილი ნიკო, ხარატი ვლი ელე ე, ხიდაშ ნიძე გიორგი, ხატიაშვილი ნატალია, ძაგანია ირაკლი, შუ მაა დორა, თოდრაძე ერ ილე, ჭყიშვილი ს., ჩიტაიძე სერგო, ჩარკვიანი კ. გაჩეჩილაძე გიორგი, ნადარეიშვილი ევგ ი, ბენდუქიძე ირაკლი, პა ჭაძე ანტონ, ლორთქიფანიძე ს., სიხარულიძე ვახტა გი, ბელაუსოვი ვლადიმერ, ჯიბლაძე თამარა, ბუაძე ოოს, შალამბერიძე აკაკი, ფარცვა ია სა ა, გაროზიანი ვასილი, ბენ შვილი ირაკლი, დერბიზაშევი ბორია, ქაუთია პავლე, ბრეგვაძე ს., დოლი ე იასონ, მირცა კალანდაძე, გურული შ., ხაცვლიშვილი მიხეილ, მიქაუტაძე კალისტე, ხუნწარია კლიმენტი, ლომაძე დ, ფაჩუაშვილი ნაუმ., კავთიშვილი აკაკი, ც ბაძე ვალოდი, ბარბაქაძე ვახტანგი, კალანდაძე ქეთო, კოდუა ალექსანდრე, იოიძე ალექსანდრე, უგლავა რ., წიკ აძე დათიკო, დულარიძე გიორგი, ინოსოვი არტო ტატარენკო მიხეილ, შარმია ელაშვილი ილია, კაჭარავა მოსე, ოცვაძე, დულარიძე გიორგი, ოსტროუ ოვი ლევან, აქაცარია იონა, ცისკარიშვილი დავით, ჟულივერდაშვილი ქ., მხეიძე პაშა, ხანუმოვი ივანე, სიხარულიძე გ. ვაშაკიძე შალვა, მოისწრაფეშვილი სევერიანე, ასათიანი, სარჯველაძე პ., ქაბლიძე დიმიტრი, გაფრი და ვილი პ. ჯანკოტაძე ივანე. გეჯუჩაძე შერ ანდი, სოლოგაშვილი სერგო, ქორიძე ძ., ნოზაძე ანდრო, მთვარელიძე შალვა, მამალაძე ევგენი, სიმვულიდი ტოგო, ართელაური აგრაფინა, გიკაშვილი ნინო, გიორგაძე ემელიანე, დათეშიძე ვლადიმერ, შალამბერიძე ნიკოლოზ, ვარამაშვილი იოსებ, სირაძე მოსე, საგუბოსპირელა, მეგრელიძე ნიკოლოზ, ოყრეშიძე ი., ჩიხლაძე სოლ., ჯიოშელეიშვილი, გაჩეჩილაძე გიორგი, ფირცხალაიშვილი არონ, ბერიშვილი ტ, ქორქაძე სალომე, ალასანია ვლადიმერ, ცხომელიძე ბ., მიგინეიშვილი მექი, „კარდანახელი“, როდონაია ალექსანდრე, გალდავა ვლასი, კურდღელაშვილი ბიძინა, ქილიფთარი ვლადიმერ, სანოძე კირილე, კუპრაშვილი პორფილე, ჩაველაშვილი ფლორენცია, შეწირული კალისტე, ნიკოლაიშვილი მარიამი, წიქვაძე, ქორქოლიანი აკაკი, კოდუა ალექსანდრე, სოდოგიშვილი სერგო.

*) სიაში მოთავსებულია ის პირები, რომლებმაც ცნობა მოგვაწოდეს 7 ივნვრამდე.

## „...ქურდი არ წაწყდება“

„1 იანვარს სტუმრად მოსულ თ. ლარიბოვს (მღვდელს) გაუქრა ანაფორა და ქუდი“. (ქრონიკიდან)



ჩვენს მამაოს დაემართა
საქმე მეტად ცუდი:
სტუმრობისას მას მოჰპარეს
ანაფორა, ქუდი.

მისდევს მღვდელი, მირბის ქურდი
მღვდელზე უფრო ჩქარი...
ჰყვირის: — შვილო, დამიბრუნე
და წაიღე ჯვარი.

# ტარტაროზის საახალწლო მზადება

ვაჰ! თუ კი სხვები ხვდებიან
ახალ წელს დიდის მზადებით:
ხაჭაპურებით, საცივით
და ძეხვა ლორის შეწვადებით;

ცოლებს გზავნიან ბაზარში
კალათით და შაბურით
და ბრუნდებიან ბაზრიდან
გოჭებით და კაბურითა,—

მეც არ ვარ მათზე ნაკლები,
მეც ვარ იმათი ტოლია,
თვითონ მე წავალ ბაზარში,
რადგან არა მყავს ცოლია.



და ტარტაროზი წავიდა,
მოინახულა ბაზარი...
მოავლო თვალი მიდამოს...
მღვდელს, ჩარჩებს დასცა თავზარი

გაავსო დიდი კალათი
მღვდელ-სპეკულიანტ-ჩარჩებით.
ეუბნებოდა: არც ერთი
ცოცხალი თქვენ არ დარჩებით.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტის სტამბა კამოს ქ. 68.